საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 98

2011 წ. "28" 07

ქ. თბილისი

შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 209475904) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №13 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
იოსებ სალუქვაძე

სხდომის მდივანი
გაიანე სიმონია